



ევროკავშირი
საქართველოსთვის
Project funded by the European Union



KFW



აჭარის წყლის
ალიანსი

აჭარის დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამა

საინფორმაციო ბიულეტენი N19
თებერვალი, 2022

რატომ არის წყალი, წყალარინება და ჰიგიენა (WASH) მნიშვნელოვანი აჭარის სოფლებისთვის?!

სუფთა წყალზე წვდომა ადამიანის ფუნდამენტური უფლებაა. გამართული კომუნალური ინფრასტრუქტურა, შესაბამისი წყალარინების სისტემით და უსაფრთხო, საიმედო და უწყვეტი წყალმომარაგება პირდაპირ კავშირშია ჰიგიენასა და ჯანმრთელობასთან. გარდა ამისა, აღნიშნული ქმნის სოფლად მცხოვრები ოჯახების ცხოვრების ხარისხისა და ეკონომიკური პერსპექტივების მნიშვნელოვან საფუძველს. მსოფლიოში წყლის რესურსების არათანაბარი განაწილების, არარსებული, ან მწყობრიდან გამოსული ინფრასტრუქტურისა და მასზე დაფუძნებული მომსახურებების მართვასთან დაკავშირებული პრობლემების გამო, წყალთან დაკავშირებული პრობლემები კიდევ უფრო მწვავედება.

კოვიდ 19 პანდემიის პირობებში, მსოფლიო მოსახლეობის უმეტესი ნაწილი დაუცველია, გასწავთრებით ჰიგიენის მზარდი მნიშვნელობის ფონზე, როდესაც ხელების საპნით ხშირი დაბანა და დაავადების გავრცელების წინააღმდეგ აუცილებელი პრევენციული ზომების დაცვა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. გაეროს ბავშთა ფონდის (UNICEF) თანახმად:

- მსოფლიოში 2,2 მილიარდ ადამიანს ჯერ კიდევ არ აქვს წვდომა უსაფრთხო სასმელ წყალზე;
- მსოფლიოში მოსახლეობის ნახევარზე მეტს არ აქვს წვდომა უსაფრთხო სანიტარულ პირობებზე;
- სამ მილიარდ ადამიანს არა აქვს წვდომა საპნით ხელების დასაბან საშუალებებზე;
- 673 მილიონი ადამიანი ღია დეფეკაციის პრაქტიკას იყენებს;

ადამიანის ფუნდამენტური უფლების გათვალისწინებით, რომელიც მდგომარეობს უსაფრთხო წყალზე წვდომასა და WASH-ის (წყალი, წყალარინება, ჰიგიენა) საკითხების გადაუდებელ მოგვარებაში, სუფთა წყალი და სანიტარული პირობები გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების (SDG) მე-6 საკითხია. ეს მოიცავს:

- 2030 წლისთვის მივალწით უნივერსალურ და თანაბარ ხელმისაწვდომობას უსაფრთხო და ფინანსურად ხელმისაწვდომ სასმელ წყალზე;
- 2030 წლისთვის უზრუნველყოფილი იყოს სანიტარული და ჰიგიენური პირობების ადეკვატური და თანაბარი ხელმისაწვდომობა და ღია დეფეკაციის დასასრულის მიღწევა; ასევე განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ქალებისა და გოგონების საჭიროებებსა და მოწყვლად მდგომარეობაში მყოფ ადამიანებს;

აჭარის სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამის ერთ-ერთი მთავარი მიზანი SDG 6-ის შესრულებაზე ფოკუსირება და თანამედროვე კომუნალური ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბების და საიმედო წყალმომარაგებისა და სანიტარული მომსახურებების მდგრადი უზრუნველყოფის ხელშეწყობაა.



ინფორმაცია პროგრამის შესახებ

აჭარის დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამა თანადაფინანსებულია გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მიერ, KfW ბანკის მეშვეობით და ევროკავშირის მიერ. პროგრამა მიზნად ისახავს აჭარის ყველა მუნიციპალიტეტში შეიქმნას თანამედროვე სტანდარტების წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემები.

აჭარის დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამას სს „აჭარის წყლის ალიანსი“ ახორციელებს. პროგრამა მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს სოფლის მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის, ზოგადი ჰიგიენისა და ჯანმრთელობის გაუმჯობესებაში. პროგრამა უზრუნველყოფს გარემოს დაცვას ჩამდინარე წყლებით დაბინძურების თავიდან არიდების გზით. ასევე, თავიდან იქნება არიდებული ნიადაგისა და წყლის რესურსების დაბინძურება გაუნმენდავი ჩამდინარე წყლების ჩაშვებით.

აჭარის დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამა, თვისებრივად პირველია საქართველოში რომელიც წყლისა და წყალარინების ინფრასტრუქტურის განვითარების ორგანიზებას ახდენს რეგიონის სოფლებში.



FICHTNER



ეს საინფორმაციო ბიულეტენი შექმნილია ევროკავშირის და გერმანიის რეკონსტრუქციის ბანკის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია სს „აჭარის წყლის ალიანსი“ და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის და გერმანიის რეკონსტრუქციის ბანკის შეხედულებებს.

კ. გამსახურდიას ქ. N1, ბათუმი, საქართველო
+995 422 27 86 86
info@awa.ge
www.awa.ge



AJARA RURAL WATER AND WASTEWATER TREATMENT PROGRAMME

NEWSLETTER N19

February, 2022

Why Water, Sanitation and Hygiene (WASH) is Critical for Rural Ajara?!

Access to clean water is a basic human right. A well-maintained communal infrastructure, with an appropriate sanitation system and a safe, reliable, and uninterrupted water supply is directly related to hygiene practices and health issues. This furthermore forms an important basis of the quality of life and economic perspectives of the rural families. Due to unequal distribution of water resources in the world, non-existent or out of order infrastructure and problems related to the management of infrastructure-based service, the severity of water-related issues is increasing.

In the face of the COVID 19 pandemic, most of the world's population is vulnerable, despite the increasing importance of hygiene - especially frequent handwashing with soap and the necessary preventive measures against the spread of the disease. According to UNICEF:

- Worldwide, 2.2 billion people still lack access to safe drinking water;
- More than half of the global population does not have access to safe sanitation;
- Three billion people do not have access to handwashing facilities with soap;
- Still, 673 million people practice open defecation;

Given the importance to the fundamental human right to access water and the urgency of WASH issues, clean water and sanitation are the 6th Sustainable Development Goal (SDG) of the UN. The main keys are:

- By 2030 achieve universal and equitable access to safe and affordable drinking water for all;
- By 2030 achieve access to adequate and equitable sanitation and hygiene for all and end open defecation, paying special attention to the needs of women and girls and those in vulnerable situations;

One of the core objectives of the Ajara Rural Water and Wastewater Programme is the focus on meeting the SDG 6 and to assist the establishment of a modern communal infrastructure and the sustainable provision of reliable water supply and sanitation services.



GENERAL INFORMATION ABOUT THE PROGRAMME

"Rural Water Supply and Wastewater Treatment Programme-Ajara" is co-financed by the German Federal Republic Government through the KfW Development Bank and by the European Union. The Programme aims to create modern standard water supply and wastewater treatment systems in all municipalities of Ajara. "Rural Water Supply and Waste Water Treatment Programme-Ajara" is being implemented by the JSC "Ajara Water Alliance". The mentioned Programme will have an essential contribution to the improvement of the level of life, health and the hygiene in general for the citizens of the villages in Ajara as the Programme will keep the environment safe through avoiding contamination and pollution of the environment and water bodies by directly discharged effluent. The content of the Programme "Rural Water Supply and Waste Water Treatment Programme-Ajara" is unique in Georgia with its potential to influence the water supply and wastewater infrastructure development in the villages of the region.